ხელშეკრულება №120

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. წყალტუბო 1 აგვისტო 2012 წელი

ერთი მხრივ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის მამუკა სალარიძვილის სახით და მეორე მხრივ, შ.პ.ს „ჯ და ჯ" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ზონდო მაისაშვილი სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის პირველი მუხლის მე-3¹ პუნქტის "ე" ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 13 ივლისის №13/07/06 და 2012 წლის 26 ივლისის №26/07/08 განკარგულების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – „ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2.„შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.4.„ხელშეკრულ
ების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

## 2. შესყიდვის ობიექტი, ტექნიკური პირობები და კლასიფიკატორის კოდი

2.1 შესყიდვის ობიექტი – ქალაქ წყალტუბოში ბაზრის მიმდებარე ტერიტორიის გზის შეკეთება

2.2 კლასიფიკატორის კოდი: (45200000);

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 119500 (ასცხრამეტი ათას ხუთასი) ლარს;

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს

## 4. სამუშაოს შესრულების პირობები

4.1 სამუშაოების დასრულების ვადა – 2012 წლის 28 სექტემბრის ჩათვლით.

4.2 მიწოდების ადგილი – წყალტუბოს მუნიციპალიტეტი

## 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

5.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს, დაწუნებული სამუშაოების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

5.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.4. შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა, მშენებლობის ნებისმიერ მომენტში შეამოწმოს გამოყენებული მასალებისა და სამუშაოთა შესრულების ხარისხი. იმ შემთხვევაში, თუ ხარისხი არ აღმოჩნდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი, შემსყიდველი მხარე უფლებამოსილია შეაჩეროს სამშენებლო სამუშაოთა წარმოება და აკრძალოს შეუსაბამო მასალების გამოყენება.

5.5 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიის ან სხვა ვალდებულებებისაგან.

## 6. დაზღვევა

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში დააზღვიოს შესყიდვის ობიექტი და/ან მისი ნაწილები (ცალკეული ელემენტები, დანადგარები და წარმოების სხვა საშუალებები, ქონება, მიწოდებლის და/ან სუბკონტრაქტორის პერსონალი და სხვა).

## 7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7.2 ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარება მოხდება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შედგენილი საექსპერტო დასკვნის საფუძველზე. ექსპერტის მომსახურების ხარჯებს გაწევს მიმწოდებელი

7.3 შესყიდვის ობიექტის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7.4 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები, დაწუნებული სამუშაოს მოცულობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

7.5 ობიექტი დასრულებულად ჩაითვლება საექსპერტო ან შესაბამისი სამსახურის დასკვნის საფუძველზე

7.6 მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს სამუშაოს ამსახველი ფოტო მასალები.

## 8. ანგარიშსწორება და ვალუტა

8.1 ანგარიშსწორება ხორციელდება „მიმწოდებლის" წერილობითი მომართვის საფუძველზე;

8.2 „მიმწოდებლის" წერილობითი მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:

ა) ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობა და ღირებულება;

ბ) შესრულებული სამუშაოს შესაბამისად ამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა/სასაქონლო ზედნადები.

8.3 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

8.4 ანგარიშსწორება მოხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

8.5 შესაძლებელია წინასწარი ანგარიშსწორება, ხელშეკრულების ღირებულების 60%-ის ოდენობით. ავანსის დაკავება მოხდება მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს (ეტაპის) ღირებულების პროპორციულად. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო ან/და სადაზღვევო გარანტიის საფუძველზე. საბანკო ან/და სადაზღვევო გარანტიის მოქმედების ვადა 2 (ორი) თვით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების ვადას.

## 9. ფასები

9.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.
9.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.
9.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
9.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

## 10. გარანტია

10.1 „მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ შეასრულებს სამუშაოს არსებული სტანდარტების შესაბამისად დადგენილი ნორმების დაცვით.
10.2 შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა განისაზღვრება 1 (ერთი) წლით, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა. აღნიშნული არ გულისხმობს საანგარიშო პერიოდში დაზიანების აღდგენას, თუ დაზიანება გამოწვეული იქნება დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

## 11.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
11.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
11.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 12. უფლებების გადაცემა

12.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.
12.2 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი განცხადება მესამე პირისთვის მთლიანი ან დარჩენილი უფლება-მოვალეობების გადაცემის თაობაზე, აგრეთვე მესამე პირის წერილობითი თანხმობა ხელშეკრულებით განსაზღვრული მთლიანი ან დარჩენილი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.
12.3 შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში უფლება-მოვალეობების გადაცემა (მთლიანად ან ნაწილობრივ) ფორმდება წერილობითი სახით შემსყიდველს, მიმწოდებელსა და მესამე პირს შორის.

## 13. სუბკონტრაქტორები

13.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდეგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების დამატების სახით.
13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.
13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

## 14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავის გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
14.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

## 15. მხარეთა უფლება-მოვალეობები

15.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:
-შესასრულებელი სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიმწოდებლისგან მისთვის საჭირო ინფორმაცია;
15.2 შემსყიდველი ვალდებულია:
– უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.
15.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
15.4 მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

## 16. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

16.1. დაუძლეველი ძალის გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:
– შესასრულებელ სამუშაოთა თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი გადაიხდის ხელშეკრულების საერთო ღირებულების 30%-ს.
- თუ მიმწოდებელი გადააცილებს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით;
16.2 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად გაწეული სამუშაოს ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში;

16.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 17. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

17.1 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად:

ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

ბ) თუ მიმწოდებელი სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

გ) იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 %-ს;

დ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ე) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

17.2 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:

ა)თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;

ბ)თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

17.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

17.4 მე-17 მუხლის 17.1 და 17.2 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

## 18. ფორს-მაჟორი

18.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

18.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

18.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

18.4 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

## 19. სადაო საკითხების გადაწყვეტა

**19.1** შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
**19.2** თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## 20. გამოყენებული სამართალი

**20.1** ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

## 21. ხელშეკრულების ენა

**21.** ხელშეკრულება შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე შედგენილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

## 22. შეტყობინება

**22.1** ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ელექტრონული ფოსტის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
**22.2** შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

## 23. გადასახადები და დაბეგვრა

**23.1** უცხოური მიმწოდებელი პასუხს აგებს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადების, ბაჟების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.
**23.2** ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

## 24. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

**24.1** ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს ვალდებულებების შესრულებამდე.

## 25. სხვა პირობები

**25.1.** ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

25.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

25.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

25.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

25.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მის: ქ. წყალტუბო, შანიძის ქ.N1
ს/ს „ლიბერთი ბანკის" წყალტუბოს ფილიალი
ბ/კოდი: LBRTGE22
ა/ა №GE25LB0120123490525000
ს/კოდი: 221274546
საკრებულოს თავმჯდომარე
მამუკა ხ[illegible]შვილი

მიმწოდებელი:

შპს "ჯ და ჯ"
მის: ქ. წყალტუბო, ტაბიძის I შეს. №4
ს/ს „საქართველოს ბანკი"
ბ/კოდი: BAGAGE22
ა/ა №GE86BG0000000121516400
ს/კოდი: 221269080
დირექტორი
ბონდო მაისაშვილი

ბ. ა.

ქ. წალენჯიხის ულიანის და წერეთლის ქუჩების გზის სავალი ნაწილის მოწყობის სამუშაოების

ხ ა რ ჯ თ ა ღ რ ი ც ხ ვ ა

შედგენილია 2012წ II კვ. დონეზე

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 119,500.15 ლარი
მათ შორის ხელფასი 2,182.10 ლარი

| № | საფუძველი | სამუშაოს დასახელება | განზ. | ნორმატიული რესურსი ერთეულზე | ნორმატიული რესურსი სულ | ხელფასი ერთ. ფასი | ხელფასი სულ | მასალა ერთ. ფასი | მასალა სულ | სამშენებლო მანქანები ერთ. ფასი | სამშენებლო მანქანები სულ | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| 1 | 27-16-3 | გზის საფუძვლის მოსხმა და მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით | 1000მ² | | 1.9350 | | | | | | | |
| | | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 28.15 | 54.47 | 3.50 | 190.65 | | | | | 190.65 |
| | | ბულდოზერი | მ/სთ | 2.58 | 4.9923 | | | | | 36.45 | 181.97 | 181.97 |
| | | ავტოგრეიდერი | მ/სთ | 0.42 | 0.8127 | | | | | 28.33 | 23.02 | 23.02 |
| | გამოანგარიშებით | ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი | მ³ | | 36 | | | 12.00 | 435.48 | | | 435.48 |
| | | მანქანებით ტრანსპორტირება ქვიშის | ტ | | 54 | | | | | 9.98 | 543.26 | 543.26 |
| | | თვითმცლელი 5ტ | მ/სთ | 7.62 | 14.74 | | | | | 17.03 | 251.01 | 251.01 |
| | | თვითმცლელი 10ტ | მ/სთ | 15.10 | 29.22 | | | | | 20.79 | 607.45 | 607.45 |
| 2 | 27-7-4 | ზედა ფენის მოწყობა ღორღით 0-40 მმ სისქით 10 სმ | 1000მ² | | 1.9350 | | | | | | | |
| | | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 21.60 | 41.80 | 3.50 | 146.29 | | | | | 146.29 |
| | | ავტოგრეიდერი | მ/სთ | 1.24 | 2.3994 | | | | | 28.33 | 67.98 | 67.98 |
| | | ღორღი 0-40 მმ | მ³ | 126.00 | 243.81 | | | 17.20 | 4,193.53 | | | 4,193.53 |
| | | მანქანებით ღორღის ტრანსპორტირებისათვის ქვიშის | ტ | | 365.72 | | | | | 9.98 | 3,649.84 | 3,649.84 |
| | | კატოკი 18ტ | მ/სთ | 0.41 | 0.7934 | | | | | 35.34 | 28.04 | 28.04 |
| | | თვითმცლელი 5ტ | მ/სთ | 7.60 | 14.71 | | | | | 17.67 | 259.86 | 259.86 |
| | | თვითმცლელი 10ტ | მ/სთ | 15.1 | 29.2185 | | | | | 21.30 | 622.35 | 622.35 |
| 3 | 27-39-2 | გზის მოწყობა ცხელი ასფალტით სისქით 6სმ | 1000მ² | | 1.9350 | | | | | | | |
| | | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 37.64 | 72.83 | 3.50 | 254.92 | | | | | 254.92 |
| | | ასფალტსაგები | მ/სთ | 3.02 | 5.84 | | | | | 20.79 | 121.49 | 121.49 |
| | | თვითმცლელი 5ტ | მ/სთ | 3.70 | 7.16 | | | | | 17.03 | 121.93 | 121.93 |
| | | თვითმცლელი 10ტ | მ/სთ | 11.10 | 21.48 | | | | | 20.79 | 446.54 | 446.54 |
| | 27-40 | ასფალტი | ტ | 121.60 | 235.30 | | | 140.00 | 32,941.44 | | | 32,941.44 |
| | | ასფალტის ასფალტის ტრანსპორტირებისათვის | ტ | | 235.30 | | | | | 3.13 | 736.48 | 736.48 |
| | | სხვა ხარჯები | ლარი | 14.90 | 87.07 | | | 3.20 | 278.63 | | | 278.63 |
| 4 | 27-09-12 | გზის დამუშავება ბიტუმის ემულსიით | 1000მ² | | 0.3700 | | | | | | | |
| | | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 114.00 | 42.18 | 3.50 | 147.63 | | | | | 147.63 |
| | | ავტოგუდრონატორი | მ/სთ | 55.30 | 20.46 | | | | | 21.46 | 439.09 | 439.09 |
| | | ბიტუმის ემულსიის ტრანსპორტირება 3კმ-ზე | ტ | | 22.70 | | | | | 2.29 | 51.98 | 51.98 |
| 5 | 27-8-5 | გზის ორმაგი მოწყობა ცხელი ასფალტით სისქით 4სმ | 1000მ² | | 0.0500 | | | | | | | |
| | | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 55.60 | 2.78 | 3.50 | 9.73 | | | | | 9.73 |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ავტოთვითმცლელი | ტ | | 51.51 | | | | | 3.13 | 161.23 | 161.23 |
| | | სატკეპნი 5ტ | მ/სთ | 8.09 | 0.40 | | | | | 17.03 | 6.89 | 6.89 |
| | | სატკეპნი 10ტ | მ/სთ | 13.30 | 0.67 | | | | | 20.79 | 13.83 | 13.83 |
| | | ასფალტი | ტ | 97.00 | 4.85 | | | 140.00 | 679.00 | | | 679.00 |
| 6 | 27-8-4 | გზის (ტროტუარული) მოწყობა ცხელი ასფალტით სისქით 5სმ | 1000მ$^2$ | | 0.3200 | | | | | | | |
| | | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 21.00 | 6.72 | 3.50 | 23.52 | | | | | 23.52 |
| | | ასფალტდამგები | მ/სთ | 3.26 | 1.04 | | | | | 20.79 | 21.69 | 21.69 |
| | | სატკეპნი 5ტ | მ/სთ | 3.99 | 1.28 | | | | | 17.03 | 21.74 | 21.74 |
| | | სატკეპნი 10ტ | მ/სთ | 13.30 | 4.26 | | | | | 20.79 | 88.48 | 88.48 |
| | | ასფალტი | ტ | 101.00 | 32.32 | | | 140.00 | 4,524.80 | | | 4,524.80 |
| | | ავტოთვითმცლელი ასფალტის ტრანსპორტირებისთვის | ტ | | 32.32 | | | | | 9.01 | 291.20 | 291.20 |
| 7 | 27-16-3 | გზის საფუძვლის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით (ფრაქციის ქვიშა) | 1000მ$^2$ | | 0.4000 | | | | | | | |
| | | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 28.15 | 11.26 | 3.50 | 39.41 | | | | | 39.41 |
| | | ბულდოზერი | მ/სთ | 2.58 | 1.032 | | | | | 36.45 | 37.62 | 37.62 |
| | | ავტოგრეიდერი | მ/სთ | 0.42 | 0.168 | | | | | 28.33 | 4.76 | 4.76 |
| | | ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი | მ$^3$ | 189.00 | 76 | | | 12.00 | 907.20 | | | 907.20 |
| | | მანქანები ტრანსპორტირებისთვის ქვიშის | ტ | | 113 | | | | | 9.98 | 1,131.73 | 1,131.73 |
| | | სატკეპნი 5ტ | მ/სთ | 7.62 | 3.05 | | | | | 17.03 | 51.91 | 51.91 |
| | | სატკეპნი 10ტ | მ/სთ | 15.10 | 6.04 | | | | | 20.79 | 125.57 | 125.57 |
| 8 | 27-7-4 | ზედა ფენის მოწყობა ღორღით 0-40 მმ სისქით 10 სმ | 100მ$^3$ | | 0.4000 | | | | | | | |
| | | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 21.60 | 8.64 | 3.50 | 30.24 | | | | | 30.24 |
| | | ავტოგრეიდერი | მ/სთ | 1.24 | 0.496 | | | | | 28.33 | 14.05 | 14.05 |
| | | ღორღი 0-40 მმ | მ$^3$ | 126.00 | 50.40 | | | 17.20 | 866.88 | | | 866.88 |
| | | მანქანები ღორღის ტრანსპორტირებისთვის ქვიშის | ტ | | 75.60 | | | | | 9.98 | 754.49 | 754.49 |
| | | კატოკი 18ტ | მ/სთ | 0.41 | 0.1640 | | | | | 35.34 | 5.80 | 5.80 |
| | | სატკეპნი 5ტ | მ/სთ | 7.60 | 3.04 | | | | | 17.67 | 53.72 | 53.72 |
| | | სატკეპნი 10ტ | მ/სთ | 15.1 | 6.0400 | | | | | 21.30 | 128.65 | 128.65 |
| 9 | 27-39-2 | გზის მოწყობა ცხელი ასფალტით სისქით 6სმ | 1000მ$^2$ | | 0.4000 | | | | | | | |
| | | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 37.64 | 15.06 | 3.50 | 52.70 | | | | | 52.70 |
| | | ასფალტდამგები | მ/სთ | 3.02 | 1.21 | | | | | 20.79 | 25.11 | 25.11 |
| | | სატკეპნი 5ტ | მ/სთ | 3.70 | 1.48 | | | | | 17.03 | 25.20 | 25.20 |
| | | სატკეპნი 10ტ | მ/სთ | 11.10 | 4.44 | | | | | 20.79 | 92.31 | 92.31 |
| | 27-40 | ასფალტი | ტ | 121.60 | 48.64 | | | 140.00 | 6,809.60 | | | 6,809.60 |
| | | ავტოთვითმცლელი ასფალტის ტრანსპორტირებისთვის | ტ | | 48.64 | | | | | 3.13 | 152.24 | 152.24 |
| | | სხვა ხარჯები | ლარი | 14.90 | 18.00 | | | 3.20 | 57.60 | | | 57.60 |
| | | **ბეტონის გზის მოწყობა ავალიანის ქუჩის აღმართზე** | | | | | | | | | | |
| 1 | 27-7-2 | ქვედა ფენის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით სისქით 15 სმ | 100მ$^3$ | | 0.7200 | | | | | | | |
| | | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 15.00 | 10.80 | 3.50 | 37.80 | | | | | 37.80 |
| | | ავტოგრეიდერი | მ/სთ | 2.16 | 1.5552 | | | | | 28.33 | 44.06 | 44.06 |
| | | ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი | მ$^3$ | 122.00 | 87.84 | | | 12.00 | 1,054.08 | | | 1,054.08 |
| | | მანქანები ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის ტრანსპორტირებისთვის ქვიშის | ტ | | 131.76 | | | | | 9.98 | 1,314.96 | 1,314.96 |
| | | ლითონის ბადე ø-5300 სისქით 5მ მოწყობისთვის | მ | | 12.00 | | | 121.80 | 1,461.60 | | | 1,461.60 |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 27-7-4 | ზედა ფენის მოწყობა ღორღით 0-40 მმ სისქით 10 სმ | 1000მ² | | 0.4800 | | | | | | | |
| | | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 21.60 | 10.37 | 3.50 | 36.29 | | | | | 36.29 |
| | | მანქანები | მ/სთ | 1.24 | 0.5952 | | | | | 28.33 | 16.86 | 16.86 |
| | | ღორღი 0-40 მმ | მ³ | 126.00 | 60.48 | | | 17.20 | 1,040.26 | | | 1,040.26 |
| | | მიწოდება ღორღის ტრანსპორტირების ჩათვლით | ტ | | 90.72 | | | | | 9.98 | 905.39 | 905.39 |
| 4 | | საფარი ნაწილის მოწყობა ბეტონით მ-300 სისქით 16სმ | 1000მ² | | 0.4800 | | | | | | | |
| | 27-23-4 | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 153.000 | 73.440 | 3.50 | 257.04 | | | | | 257.04 |
| | | ბეტონი მ-300 | კუბმ | 163.000 | 78.240 | | | 114.00 | 8,919.36 | | | 8,919.36 |
| | | სხვა ხარჯები | ლარი | 0.460 | 0.221 | | | 3.20 | 0.71 | | | 0.71 |
| | | მიწოდება ბეტონის ტრანსპორტირების ჩათვლით | ლარი | 32.70 | 15.70 | | | | | 31.70 | 497.56 | 497.56 |
| | | მავთულის ბადე 60X60 მმ დ=2.5 მმ | მ² | | 480.000 | | | 4.40 | 2,112.00 | | | 2,112.00 |
| | გამოანგარიშებით | ფიცარი | მ³ | | 0.80 | | | 520.00 | 416.00 | | | 416.00 |
| 5 | | გვერდულების მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით გამკვრივებით სისქით 30სმ | 1000მ² | | 0.1480 | | | | | | | |
| | 27-51-4 | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 410.80 | 60.78 | 3.50 | 212.72 | | | | | 212.72 |
| | | ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი | მ³ | 595.00 | 88.03 | | | 12.00 | 1,056.36 | | | 1,056.36 |
| | | მიწოდება ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის ტრანსპორტირების ჩათვლით | ტ | | 132.05 | | | | | 9.98 | 1,317.81 | 1,317.81 |
| 6 | | ბეტონის საფარის ჭრა ნაკერი | 100მ | | 4.8000 | | | | | | | |
| | 27-28-1 | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 7.700 | 36.960 | 3.50 | 129.36 | | | | | 129.36 |
| | | ბეტონის ჭრელი | მ/სთ | 19.4 | 93.12 | | | | | 0.68 | 63.32 | 63.32 |
| | | ბიტუმის ემულსია | ტ | 0.060 | 0.288 | | | 2,050.00 | 590.40 | | | 590.40 |
| | | ქვიშა | მ³ | 1.000 | 4.800 | | | 22.00 | 105.60 | | | 105.60 |
| | | ბიტუმის მასტიკა | ტ | 0.070 | 0.336 | | | 1,030.00 | 346.08 | | | 346.08 |
| | | ჯამი | | | | | 1,568.29 | | 68,796.60 | | 15,520.56 | 85,885.45 |
| | | ზედნადები ხარჯები % | 8% | | | | 125.46 | | 5,503.73 | | 1,241.64 | 6,870.84 |
| | | ჯამი | | | | | 1,693.75 | | 74,300.33 | | 16,762.21 | 92,756.28 |
| | | გეგმიური მოგება % | 6% | | | | 101.62 | | 4,458.02 | | 1,005.73 | 5,565.38 |
| | | ჯამი | | | | | 1,795.37 | | 78,758.35 | | 17,767.94 | 98,321.66 |
| | | გაუთვალისწინებელი ხარჯები | 3% | | | | 53.86 | | 2,362.75 | | 533.04 | 2,949.65 |
| | | ჯამი | | | | | 1,849.23 | | 81,121.10 | | 18,300.98 | 101,271.31 |
| | | დღგ 18% | 18% | | | | 332.86 | | 14,601.80 | | 3,294.18 | 18,228.84 |
| | | სულ | | | | | 2,182.10 | | 95,722.90 | | 21,595.15 | 119,500.15 |

„ჯ და ჯ" „J & J"
GEORGIA TSALKA LTD · 221260080